# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— პარასკევი, 1 სექტემბერი 1900 წ. № 1226

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.

ადრესი: **RAPHAËL ISARLOFF.**

(ნ. 16—6) **Paris, rue des Ecoles, 40.**

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25 აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა—ქართული და სომხური—იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც—რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვის და გუდოვიჩის ქუჩების კუთხეში. სახლი საგარდა პოსერბსკისა, № 12. (5—1)


# ახალი ამბავი

✦ სამშაბათს, 29 აგვისტოს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა **ტფილისის ხელოსანთა კრება**, რომელსაც წარედგინა განსახილველად სარევიზიო კომისიის მოხსენება ხელოსანთა თავის სერობიანცის მოქმედების შესახებ 1897—1900 წლების განმავლობაში. მოხსენების სიტყვით, სახელოსნო გამგეობაში ყველა საქმეები უწეს-რიგოდ იწარმოება, შემოსავალ-გასავლის დავთრები და წიგნები სრულიად არ არის გამგეობაში, მათ მაგიერობას ასრულებს საკვიტანციო წიგნი და რაღაც ხელწერილები. გარდა ამისა გამგეობა უკანონოდ და არა თანასწორად ანაწილებს ხელოსანთა შორის საზოგადო გადასახადებს. გამგეობის დაუდევრობისა გამო ხელოსნებზე შეგროვდა დიდი ნედოიმკა. გამგეობა სრულიადაც არ ზრუნავდა ხელოსნების საჭიროებათა შესახებ. მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი ბაასი; ბევრმა დამსწრემ საყვედური გამოუცხადა სეროპიანცს უნაყოფო სამსახურისათვის. ბოლოს კრებამ დაადგინა მოსთხოვოს სეროპიანცს პასუხი და ამისთვის ვადაც დაუნიშნა.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს ცნობით, **საქართველოში მოსავლის მდგომარეობა** ასეთია: 1) ქუთაისის გუბერნიაში პურის მოსავალი გვარიანია; სიმინდის მოსავალს ჯერ კარგი პირი უჩანს. თივა კარგია. მუშა იაფი იყო. 2) ტფილისის გუბერნიაში შემოდგომაზე ნათესი პური გვარიანია, გაზაფხულის ნათესი კი საშუალოა, ადგილ-ადგილ კარგი. პური დაზიანა პურის ჭიამ ახალქალაქის მაზრაში. საშუალო გამოანგარიშებით, თითოეულ დესეტინაზე მოვიდა 100—140 ფუთი თივა; მაგრამ ცოტათი დაზიანდა წვიმების გამო.

როგორც სჩანს, სამინისტროს ცნობები ადრეულია; ზაფხულის მეორე ნახევარი ყველგან ჩვენში ავდრებისა გამო მეტად მაზარალებელი იყო.

✦ **ქართულ სახალხო წარმოდგენების სეზონი** იწყება 10 ენკენისთვეს. ამ დღეს წარმოდგენილი იქმნება ერისთავის კომედია „ძუნწი“ და გარდა ამისა ნაჩვენები იქმნება ბუნდოვანი სურათები ი. გოგებაშვილის თხზულებიდან „თავდადებულნი ქართველნი“.

✦ ქართულ **სახალხო წარმოდგენების** მმართველი კომისსია სთხოვს ყველას, ვინც კი ამ სეზონში წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას ისურვებს, ქ-ნ მ. ი. დემურიას მიჰმართონ (ავჭალის ქ., სახლი № 72); წარმოდგენები ენკენისთვის პირველ რიცხვებიდან დაიწყება.

✦ გამოცხადდა ახალი კანონი, რომლის ძალით სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება ეძლევა ვაჭრობის დაუნიშნავად გასცეს იჯარით **ნავთიანი ადგილი** საწარმოებლად.

✦ „ივერიას“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, ბ-ნი ა. ხახანაშვილი 1-ლ ენკენისთვიდან მოსკოვის უნივერსიტეტში **ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის** შესახებ ლექციების კითხვას თურმე დაიწყებს.

✦ ბათუმიდან „ნოვოე ობოზრენიე“-ს ატყობინებენ, რომ იქ და ქალაქის მიდამოებშიაც ამ ბოლოს დროს რამდენიმე კაცი გახდა ავად **სახადით**. მიღებულია საექიმო და სასანიტარო ზომები.

✦ სოფ. ნიკორწმინდიდან (რაჭის მაზრა) გვწერენ: ამოდენა უზარმაზარი საზოგადოება მეტად მოკლებულია სწავლა-განათლებას. რამოდენიმე წლის წინათ ორმა-სამმა სახლისომ ძლივს შეკიძინეთ ორკლასიანი სკოლა, რომელიც მდებარეობს სოფელს აგარას ამასთან მასწავლებლებიც კარგები მოვიწვიეთ, რომელნიც იმთავიდგანვე გულ-წრფელათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა ეს ზემოხსენებული სკოლა მალიან შორს არის ნიკორწმინდაზედ. თანაც დიდი ზამთრისა გამო ყოვლად შეუძლებელია ყმაწვილებისათვის ამ სიშორეზედ სიარული და სწავლა. ამ გარემოებამ აიძულა ნიკორწმინდელები გამართნათ, ჩვეულებრივ წირვის შემდეგ, ეკკლესიის გალავანში მოლაპარაკება აგვისტოს 20-ს. გულ-მხურვალეთ გვიქადაგა მღ. ბ. ა. ჭელიძემ, რომელმაც აგვიხსნა ყოველივე დაწვრილებით: ავაშენოთ ეკკლესიის გვერდით სიმრგვლო სკოლა-საგალობელი, რომ ამით გაუადვილდეს ყმაწვილებს სწავლა, მაგრამ არ მოგვცეთ ჭირი; ამ ფრიად საყურადღებო ამბავს მათემაც არ ათხოვა ყური. ზოგი გაიძახოდა, შვილი არა მყავს და რისთვის შევიწუხო თავიო; ზოგიც იმეორებდა, ჩვეული ჭირი სჯობს ჩვეულებრივ ლხინსაო და სხვა; ამით დაიშალა კრება. ისევ ისე უყურადღებოთ დარჩა ეს საღვთიდ-დღეო საქმე; მით უფრო სამწუხაროა ეს ამბავი, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებთა შორის ხშირია ისეთი პირები, რომელთაც ხუთი ათასიდგან ათი-ათასამდე შეძლება აქვთ და ესენიც-კი გულ-გრილად ეკიდებიან სწავლის საქმეს. ამიტომაც არის, რომ სულითა და გულით რომ გინდოდეს და ანთებული სანთელი ხელში გეჭიროს და ეძებდე, მაშინაც კი გაუჭირდება შეგნებულ კაცის შოვნა.

✦ ართვინის ოლქის უფროსი იწვევს მსურველთ სასოფლო სამმართველოების მწერალთა თანამდებობებზედ; კანდიდატებმა უნდა იცოდნენ უთუოდ რუსული და თათრული ენა. ჯამაგირი 300—400 მანათი ექმნება წელიწადში.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ აქამდე არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს თავისი აზრი რუსეთის წინადადების შესახებ; სამაგიეროდ გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ამ საგანზედ. უცხოელ გაზეთების უმრავლესობა წინააღმდეგია ამ წინადადებისა. ზოგიერთი აზრი წინა ნომერში გვქონდა მოყვანილი და ზოგსაც ეხლა მოვიყვანთ. გერმანულ გაზეთებში ყველაზედ ღმობიერად და თავ-დაჭერილად «კელნის გაზეთი» ლაპარაკობს: «უცხოეთის გაზეთებშიო,—ამბობს ხსენებული გაზეთი,—ხშირად ის აზრი იყო გამოთქმული, გა-

თუმც გერმანიის ქცევა ჩინეთში ხელს უშლიდეს საქმის მშვიდობიანად გათავებას; არა ერთხელ იყო ნათქვამი აგრეთვე, ვითომც გერმანიის კარგა ჯარების მობილიზაციის მიზანი მშვიდობიანობის ჩამოგდება კი არა, არამედ სხვა რამე არისო. რადგანაც გერმანიამ ამოდენა ჯარი აამოძრავა, მას რაღაც განსაკუთრებული მიზანი უნდა ჰქონდესო.

ყველა ამ მოსაზრებათა დასარღვევად საკმარისია მიუთითოთ ბიულოვის განცხადებებზედ. გარდა ამისა თვით გერმანიის პრაქტიკული მიზანი თხოულობს, რათა მშვიდობიანობა იქნეს დაცული. გერმანიისათვის საინტერესოა ჩინეთი, როგორც ბაზარი გერმანელ მრეწველობის ნაწარმოებისათვის, მაგრამ ამავე მრეწველობისათვის აუცილებლად საჭიროა ბაზარზე მშვიდობიანობა სუფევდეს.

სამ-ნაირად შეიძლება გადაწყდეს ჩინეთის საქმე: 1) ჩინეთი უნდა მიეცეს რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ, 2) ჩინეთი უნდა განაწილდეს ან და 3) უნდა დაარსდეს ჩინეთში დამოუკიდებელი მტკიცე მთავრობა. თუ ჩინეთი რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ იქნება, მაშინ იგი დაკარგულია გერმანიისათვის, და თუ თვით გერმანია იქნა ეს პროტექტორი, იმდენი დაუჯდება მას ჩინეთში წესიერების ჩამოგდება და დაცვა, რომ იგი თავის დღეში ვერ აიღებს დანახარჯს ჩინეთის მოსალოდნელი ბაზრიდან.

ჩინეთის განაწილება უთუოდ გამოიწვევს დიდ განხეთქილებას და შეხეთქებას მოკავშირეთა შორის, რასაც ისეთი საზარო შედეგები მოჰყვება, რომ ვერაფერი ვაჭრობა ვერ გაასწორებს მას. მაშასადამე დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება ჩინეთში მშვიდობიანობის ჩამოგდებისა, ეს საშუალება—ჩინეთში დამოუკიდებელი და მტკიცე მთავრობის შექმნაა. გერმანია გამსჭვალულია ამ აზრით და სიამოვნებით მიემხრობა ყველას, ვისაც ეგევე მიზანი ექნება.»

თუ გერმანიის მთავრობა მართლა ამ აზრის არის, მაშინ მოკავშირეთა შორის განხეთქილების ჩამოვარდნა არ უნდა იყოს მოსალოდნელი. მაგრამ სხვა გავლენიანი გაზეთები სულ სხვას ამბობენ. «ფრანკფურტის გაზეთი» შემდეგ ამბავს იტყობინება: იმპერატორს ვილჰელმს ოფიცრებთან ლაპარაკის დროს უთქვამს: «ჩემი ჯარები არ წავლენ პეკინიდან, თუნდ ამისათვის მთელი ჩემი ჯარების მობილიზაცია დამჭირდეს.»

ინგლისური გაზეთებიც ამასვე ამბობენ: «რუსეთის წინადადებაზედ გერმანიამ პირდაპირ უარი შეუთვალა; გარდა ამისა მან თავის მხრივ წარადგინა საკუთარი კომბინაცია, რომლის საშუალებით რუსეთს შეეძლება თავის ჯარები გაიყვანოს პეკინიდან, დანარჩენი სახელმწიფოები კი ისე მოეპყრობიან ჩინეთს, როგორც მათ უნდათ.

ინგლისის მეორე გაზეთი ამბობს: «მიუხედავად ბევრის რწმუნებისა, არ გვსურს ჩინეთის განაწილებაო, მაგრამ ჩინეთი მაინც ნაწილდება: რუსეთის ჯარების მოქმედება მანჯურიაში, დიდ-ძალი გერმანელ ჯარებისა და ფლოტის გაგზავნა ჩინეთისაკენ, იაპონელების მოქმედება ამოიში, სადაც მათ ჰსურთ გადმოსვან 20,000 ჯარისკაცი,—ყველა ეს ცხადად გვიჩვენებს ჩინეთის საქმეების მიმდინარეობას. კიდევ ცოტა ხანი,—და ჩინეთის განაწილება აუცილებელი გახდება.»

∝ ბერლინში მყოფი ამერიკის ელჩი დეპეშით იტყობინება, რომ თუმცა გერმანიას ძალიან სურს თანხმობით იქმნეს სხვა სახელმწიფოებთან, იგი იძულებულია ეხლანდელ გარემოებათა შორის დასტოვოს ჯარები პეკინში და თანახმაა მხოლოდ შეამციროს მათი რიცხვი.

იაპონიამ შეატყობინა სახელმწიფოებს, რომ იგი მზად არის გაიყვანოს თავის ჯარები პეკინიდან, თუ ამის თანახმა ყველანი იქნებიან, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ საელჩოები სრულებით უზრუნველნი იქმნენ.

∝ შესახებ რუსეთის წინადადებისა ლონდონიდან იწერებიან: «ინგლისი გრაფ ვალდერზეს დანიშვნიდანვე წინად გრძნობდა, რომ გერმანია მისი მომავალი მოკავშირე შეიქნებოდა, და ეხლა, როცა რუსეთმა თავის წინადადებით სასაცილოდ გახადა გრაფ ვალდერზეს მთელი მისსია, ინგლისს სრული იმედი აქვს, რომ გერმანია ჩინეთის საქმეებში მიემხრობა მას რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისის პრესსა მეტად უკმაყოფილოა მთავრობისა, რომელსაც იმ ბრალსა სდებს, რომ ინგლისმა დაჰკარგა თავისი პრესტიჟი შორს აღმოსავლეთში და რომ ინგლისის აზრს ჩინეთის საქმეების შესახებ იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც იტალიისას. ეხლა ეს პრესსა ჰფიქრობს, რომ რუსეთის წინადადება განხეთქილებას გამოიწვევს სახელმწიფოების კონცერტში, რომელიც ორ დასად უნდა გაიყოს, და აჩქარებს მთავრობას დაიკავოს პირველი ადგილი იმ სახელმწიფოებთა შორის, რომელნიც არ ეთანხმებიან რუსეთის მთავრობას. მაგრამ მთავრობა გაჩუმებულია, რაც მეტად აბრაზებს პრესსას: უნდა ვიფიქროთო, ამბობენ გაზეთები, რომ ლორდ სოლსბერიმ შესწყვიტა ტელეგრაფის მავთულები, რომელნიც მის საზაფხულო სამყოფისაკენ იყო გაბმული. გაზეთების ეს საყვედური, კორესპონდენტის აზრით, საბუთიანი არ არის; მთავრობამ უკვე გამოთქვა თავის აზრი «ტაიმსის» მეთაურში. მეთაურის ავტორი (იგივე ინგლისის მთავრობა) დიდ პროტესტს აცხადებს რუსეთის წინადადების მიღების წინააღმდეგ. ინგლისის პასუხი ამ წინადადებაზედ «ტაიმსის» აზრით, შეიძლება გრაფ ბიულოვის სიტყვებით გამოიხატოს: «ჩვენ ცოტა უფრო ერცლად გვესმის ჩვენი უფლებანი და მოვალეობანი». ინგლისი არ დამშვიდდება, სანამ არ მიიღებს სამაგალითო დაკმაყოფილებას ყველა იმ ქონებრივ და ზნეობრივ ზარალისათვის, რომელიც მას ჩინეთში მოუვიდა, სანამ იგი უზრუნველ მდგომარეობას არ შექმნის თავის ქვეშევრდომთათვის, რომელნიც იღვწიან სამშობლოსა და თვით ჩინეთის სასარგებლოდაც. ინგლისი არ დაიწყებს მოლაპარაკებას ჩინეთის მთავრობასთან, სანამ ეს უკანასკნელი არ გაამართლებს თავს აჯანყებაში მონაწილეობის მიღების ბრალდებაში. დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენ ისინი, სამაგალითოდ უნდა დაისაჯნენ.

გერმანიის იმპერატორმა, ჯარების ჩინეთში გასტუმრების დროს, გამოაცხადა, რომ იგი არ დამშვიდდება, «სანამ გერმანიის დროშა არ აფრიალდება პეკინის კედლებზედ და არ უკარნახებს იქიდან ჩინეთს მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობებს». ვილჰელმ მეორემ მართალი თქვა: «მხოლოდ პეკინიდან შეიძლება მტკიცე მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობების კარნახი».

∝ ბერლინიდან სწერენ ინგლისელ გაზეთებს: რუსეთის წინადადება პეკინიდან ჯარების გაყვანის შესახებ უარყოფილ იქმნა ყველა სახელმწიფოებისაგან. სოლსბერის თხოვნა, დამაცადეთ პასუხის მიცემაო, ნიშნავს იმავე უარყოფას. გერმანია იქნება უკანასკნელი სახელმწიფო, რომელიც დასთანხმდება რუსეთის წინადადებას. თუ როგორ უყურებს იაპონია ამ საქმეს, ყველამ კარგად იცის; საფრანგეთის მინისტრები კი განცვიფრდნენ, რადგანაც სულ უკანასკნელ დრომდე მათ არა იცოდნენ-რა. დანარჩენებიც რომ დასთანხმდნენ რუსეთის წინადადებას, იაპონიის და გერმანიის ჯარები მაინც დარჩებიან პეკინში.

∝ «ფიგარო»-ს აზრი რუსეთის წინადადების შესახებ: «საფრანგეთის მთავრობა უთუოდ მიემხრობა რუსეთს და გაიყვანს თავის ჯარებს პეკინიდან. თუ რუსეთისათვის მეტად საჭიროა ჩინეთთან კარგი მეზობლური დამოკიდებულება, საფრანგეთმაც თავის მხრივ უნდა იზრუნოს, რათა არ შეიძინოს სამუდამო მტერი ტონკინის გვერდით და რათა ჩინეთის კათოლიკეთა პროტექტორატი შეირჩინოს. ყველა ამ გარემოებათა გამო საფრანგეთს დარჩენია მოკავშირესთან ერთად იმოქმედოს.

∝ გაზეთ «ტან»-ის აზრი: «პირველ მიზნის (ელჩების განთავისუფლება) მიღწევის შემდეგ მოკავშირეები უნდა შეუდგნენ მეორე მიზნას—დამნაშავეთა დასჯის—სისრულეში მოყვანას. მაგრამ ეს ეხლანდელ გარემოებებში თითქმის შეუძლებელია, რადგანაც პეკინში არ არის არავითარი მთავრობა. მთავრობის დადგენა-კი ჩინეთში ყოვლად შეუძლებელია, სანამ სატახტო ქალაქი უცხოელების ხელშია. სატახტო ქალაქად რომ ნანკინი გახადონ და იქ ახალი დინასტია აიყვანონ ტახტზე, საეჭვოა, რომ ამისთანა მთავრობას რაიმე გავლენა და ავტორიტეტი ექნას, რადგან ჩინელი მიჩვეულია პეკინიდან მოდიოდეს მთავრობის განკარგულებანი. უეჭველია, განათლებულ ევროპას შეუძლია დაარსოს ახალი დინასტია, დაუმორჩილოს მას ჩინეთი და შექმნას ახალი ცენტრი, მაგრამ ეს იმდენად დიდი და ძნელი საქმეა, რომ მოკავშირეები იძულებულნი შეიქმნებიან თავის პროგრამას ძალიან შორს გასცილდნენ. ამიტომ სახელმწიფოებმა ეხლავე უნდა შეიმუშაონ ჩინეთთან მოლაპარაკების პირობანი; ამ მხრივ კი რუსეთის წინადადების წინააღმდეგ არაფერი ითქმის.»

ხსენებული გაზეთი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოების შეთანხმება ამ ნიადაგზე ძნელი არ არის. განსაკუთრებით ამერიკაა დაინტერესებული, რათა არ გართულდეს საქმე, რადგან საპრეზიდენტო არჩევანი იწყობა ამ მოკლე ხანში. ინგლისს კისერზე ჰკიდია მძიმე წისქვილის ქვა—აფრიკის ომი. იაპონია სცდილობს შეთანხმდეს რუსეთთან და სიამოვნებით მიიღებს რუსეთის წინადადებას, როგორც სიძნელის გამაადვილებელს. საფრანგეთი სიხარულით მიეგებება მოლაპარაკების დაწყებას, თუნდა მარტო იმისთვის, რომ ომიანობის განგრძობა დაკავშირებულია «სათავიდო მორჩილებასთან» (გრაფ. ვალდერზეს მთავარ-სარდლად დანიშვნა).

დარჩა გერმანია, რომელსაც ელჩის მოკვლა, იმპერატორის მჭერ-მეტყველება, «ჯავშნიან მუშტის» მოგონება, «მსოფლიო პოლიტიკის» იმედები და, ცოტა არ იყოს, მეტად გახმაურებული მგზავრობა გრაფ ვალდერზესი გაუჭირვებენ გონიერების გზაზედ დაბრუნებას, მაგრამ იმედია, საზოგადოებრივი აზრი დიდის კმაყოფილებით მიეგებება «ეხლანდელ მეფობის უდიადესს იდეის» დამარცხებას.»

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ 29 აგვისტოს წაბრძანდნენ სპალაში.

დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული უავგუსტოესის ასულის ელენეთი 30 აგვისტოს წაბრძანდა სოფელ ილაინსკში, მოსკოვის ახლო.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ შანჰაიდან, რომ ლიხუნჩანგმა მიმართა იმპერატორს და დედოფალს თხოვნით, რომ დაბრუნდნენ პეკინში.

რუსეთის წინადადებაზედ იაპონიამ განაცხადა, რომ ის მზად არის გაიყვანოს პეკინიდან ჯარები და აგრეთვე აღასრულოს ყოველივე, რასაც მოკავშირე სახელმწიფოები გარდასწყვეტენ; რადგანაც მისი გეოგრაფიული მდებარეობა ყოველთვის ნებას აძლევს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ისევ ჯარები, თუ საჭიროება მოითხოვს. ჩინეთის ელჩი პეტერბურგში დეპეშით ატყობინებს ლიხუნჩანგს, რომ რუსეთმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს პეკინიდან ჯარების გაყვანის შესახებ იმ იმედით, რომ სამეფო სახლი დაბრუნდება პეკინში მაშინვე, როგორც კი წავლენ პეკინიდან მოკავშირეთა ჯარებიო.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“ იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა რუსეთის წინადადებაზე პეკინიდან ჯარების ტიანცზინში წაყვანის შესახებ, რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობანი სრულიად შეთანხმდნენ ამ საგნის შესახებ. ელჩებს პიშონს და გირსს და გენერლებს ფრეის და ლენევიჩს ბრძანება მიეცათ დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ტიან-ძინში ჯარების წაყვანის შესახებ, როდესაც ამას გარემოება მოითხოვს. შეერთებული შტატები და იაპონია, როგორც სჩანს, საფრანგეთის და რუსეთის მაგალითს წაჰბაძავენ.

**ლონდონი.** „დეილი მაილ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან, რომ მოკავშირეთაგან განზრახული გალაშქრება პაოტინფუზედ გადადებულ იქმნა ცუდი ამინდებისა გამო.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ შანჰაიდან, რომ იმ ჩინელთა ჯარებისაგან, რომელნიც გაიგზავნენ ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სამხრეთიდან პეკინში მყოფ ჯარების მისაშველებლად, დარჩა მხოლოდ 13,000. ისინი წავიდნენ შანსიში ქვრივ დედოფალთან. დანარჩენი გაბნეულ იქმნენ და აქეთ-იქით გაიქცნენ.

**ლორენცო-მარკეზი.** აქ მოვიდა კრიუგერი.

**სტოკჰოლმი.** მინისტრი პრეზიდენტი ბოსტრემი დათხოვნილ იქმნა. მის მოადგილედ დაინიშნა ადმირალი ფრედრიკ-ვილჰელმ ფონოტერი. მთელი კაბინეტი რჩება წინანდელი.

**პეკინი.** პრინცმა ცინმა ინახულა რობერტ ჰარტი; მათ ნალაპარაკევს იცავენ საიდუმლოდ.

**ტიან-ძინი.** ქვრივი დედოფალი დი იმპერატორი, პრინც ცინის სიტყვით, იმყოფებიან კალგანში.

**ნიუ იორკი.** „უორლდ“-ის ანგარიშით, ქარიშხალმა დაღუპა ტეხასში 3000—10000 კაცამდე.

**ვაშინგტონი.** იმპერატორის ბრძანება ამბობს: „ლიხუნჩანგს, ჩვენს რწმუნებულს ელჩს, ეძლევა ნება გამართოს მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მან კეთილ-სინიდისიერად უნდა განიხილოს ყველა საყურადღებო საგნები, რადგანაც ჩვენ შორიდან არ შეგვიძლიან თვალ-ყური ვადევნოთ მის მოქმედებას.

**ტიან ძინი.** მოკავშირეთა ჯარები, 4,000 კაცისაგან შემდგარი, წავიდნენ ჩუენ-ხაი-ტინსა და იტილიაში, საიდანაც „დიდი მუშტი“ ემუქრება ტიან-ძინის ოლქს.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პრეტორიიდან, რომ ბულლერი მივიდა კლიპგატში.

**შანჰაი.** ჩრდილოეთ შანდუნში „დიდი მუშტი“ შეუერთდა „დიდი დანის“ საზოგადოებას. ხმა დადის, რომ მუდმივ ჩინელ ჯარებს ციანსუს ჩრდილოეთით უომნიათ „დიდ მუშტთან“ და დამარცხებულან.

**კაპშტადტი.** ბულერმა, სპიცკოპისკენ მიმავალმა აიღო დავლად ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ტონნისურსათი. ბურებმა გადმოყარეს მთის ფერდობიდან მძიმე ზარბაზნები, რამდენიმე ტონი საომარი მასალა და 13 პოვოზკა, რომ ესენი ინგლისელთ არ ჩაევგდოთ ხელში.

**პეტერბურგი.** გაზ. „რუსკი ინვალიდ“-ი იტყობინება, რომ კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“ გამოვიდა ტაკუდან 23 აგვისტოს; გემზედ არის ელჩის გირსის სახლობა და 26 აგვისტოს გემი მივიდა ნაგასაკში.

### პეტერბურგის ბირჟა 28 აგვისტოს

| | მყიდველობა. | გარიგება. | გაყიდველობა. |
|---|---|---|---|
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 |
| $4\frac{1}{2}$°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99\frac{1}{2}$ | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97\frac{1}{4}$ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 325 |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $277\frac{1}{4}$ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $210\frac{1}{4}$ |
| $3\frac{1}{2}$°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | $87\frac{3}{4}$ | — | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | 97 | — |
| $4\frac{1}{2}$°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | $86\frac{1}{2}$ | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | $101\frac{1}{2}$ | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $98\frac{1}{2}$ | — |
| 4°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| $4\frac{1}{2}$°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. $8\frac{1}{2}$ კ.
სუკი . . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — $8\frac{1}{2}$ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 5 კ.
» ღორის ბარკალი სალორჯეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3\frac{1}{2}$ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3\frac{1}{2}$ »
ლავაში ჭკ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. — კ. | № 4 | —6 მ 75 კ. |
| № 1 | —8 » 25 » | № 5 | —6 » 50 » |
| № 2 | —7 » 75 » | № 6 | —6 » — » |
| № 3 | —7 » 25 » | № 7 | —5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფეშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

### ტფილისის ბაზრები:

| | | გაიყიდა მეიდნებზე: | | კოგზალზე: | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | კაპ. | |
| ქერი . . . . . . | 1 | —მ. | —70 | კ. | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | —65 | — | |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | —20 | — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | ცე10 | — | |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 23 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნადგვი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. რ0 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 5 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა ა ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.დამ 34 მ.,

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუგურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი ბულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოდდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

სამგზავრო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**სამგზავრო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**სამგზავრო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ.. ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში ჩმიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღ. 1 ს.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1900 წლის 9 ენკენისთვეს, შუადღის 1 საათზე,

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქისთვის 12,000 ფუთი ნავთის მოტანა ქალაქის ქუჩების გასანათებლად,

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.